





შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

სტუდენტთა ინტერნაციონალიზაციის კვლევა



მოკლე მიმოხილვა

კვლევის მიზნები და ამოცანები

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა ინტერნაციონალიზაციის კვლევა ტარდებოდა 2023 წლის შემოდგომის სემესტრის განმავლობაში. კვლევა ჩატარა სტრატეგიული განვითარებისა და კვლევების სამსახურმა ხოლო დასკვნებზე იმუშავა შიდა აუდიტის სამსახურმა.

კვლევის მიზანი: სტუდენტთა ინტერნაციონალიზაციის პროცესში ჩართულობის ხარისხი

კვლევის ამოცანები:


- საერთაშორისო პროგრამების კოორდინატორის მუშაობის ეფექტურობა
- გაცვლითი პროგრამების შესახებ სტუდენტების ინფორმირებულობის ხარისხი
- მობილობის პროექტებში სტუდენტების ჩართულობის სიხშირე
- შერჩევის კრიტერიუმების გამჭვირვალობა
- სტუდენტების ინფორმირებულობის ხარისხი ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მექანიზმების თობაზე

კვლევის მიზნისა და ამოცანების მისაღწევად გამოვიყენეთ რაოდენობრივი კვლევის მეთოდი, რომელიც საფუძვლად დაედო კვლევის ინსტრუმენტის (კითხვარის დიზაინს) შემუშავებას. სოციოლოგიური კვლევა ჩატარდა გამოკითხვის, კერძოდ კითხვარის გამოყენებით. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 119 მა სტუდენტმა, რაც არც ისე დიდი მაჩვენებელია

ძირითადი დასკვნები:


- საერთაშორისო პროგრამების/პროექტების კოორდინატორთან სტუდენტების მიმართვიანობის ინტენსივობა საშუალოა, რაც შეიძლება იმით აიხსნას, რომ სასწავლო უნივერსიტეტი ამა თუ იმ სერვისზე ინფორმაციას სხვადასხვა სამსახურებისა და პლათფორმების საშუალებით ავრცელებს, სტუდენტისთვის ინფორმაციის მიღება სირთულეს არ წარმოადგენს. შესაძლებელია ამ მიმართულებით მისთვის საჭირო კითხვაზე პასუხი სტუდენტმა სხვა სამსახურისგან მიიღო.
- საერთაშორისო პროგრამების/პროექტების კოორდინატორი მართავს საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს

- გაცვლით პროგრამებზე ინფორმირებულობის ხარისხის მაჩვენებელი მაღალია
- მობილობის პროექტებში სტუდენტების ჩართულობის მაჩვენებელი არც ისე მაღალია. ამ საკითხის გარშემო სტუდენტების გარკვეულ ნაწილში ჩატარდა თვისებრივი კვლევა, რამაც გამოავლინა ის ფაქტი, რომ სტუდენტთა ნაწილი გაცვლით პროგრამაში მონაწილეობისგან თავს იკავებს ოჯახური პირობების, უფროსი თაობისაგან სტერიოტიპული აზროვნების, დამოუკიდებელი ცხოვრების შიშის გამო. გარდა ამისა სასწავლო უნივერსიტეტში არ არის ბევრი სემესტრული თუ მკვლევადიანი გაცვლითი პროგრამა. რეკომენდირებულია ამაღლდეს სტუდენტების ცნობიერება, გაიზარდოს გაცვლითი პროგრამების რაოდენობა, განსაკუთრებით მიმზიდველი იქნება მოკლევადიანი გაცვლითი პროგრამები. იმ სტუდენტებისთვის, რომელთათვის უცხო ქვეყანაში გამგზავრება ბარიერია კარგი იქნება არსებობდეს ადგილობრივ საერთაშორისო გაცვლით პროექტებში ასევე ვირტუალურ გაცვლით პროგრამებში მეტი ჩართვის შესაძლებლობა.
- შერჩევის კრიტერიუმები გამჭვირვალეა
- სტუდენტები ინფორმირებულები არიან თუ რა ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობი მექანიზმები არსებობს სასწავლო უნივერსიტეტში.




გამოკითხულთა 46.6%-ს მიუმატავს საერთაშორისო პროგრამების/პროექტების კოორდინატორისთვის, არ არის დაინტერესებული გამოკითხულთა 32.2%, არ მიუმატავს აღნიშნული სამსახურისთვის გამოკითხულთა 19.5%

მართავს თუ არა პერიოდულად საერთაშორისო პროგრამების/პროექტების კოორდინატორი საინფორმაციო...




გამოკითხულთა დიდი ნაწილი 51.7% ადასტურებს, რომ საერთაშორისო პროგრამების/პროექტების კოორდინატორი პერიოდულად მართავს საინფორმაციო სახის შეხვედრებს სტუდენტებთან.

აქვს თუ არა უნივერსიტეტს გაცვლითი პროგრამები უცხოეთის უნივერსიტეტებში (Erasmus+, სხვ.)?




გამოკითხულ სტუდენტთა სრულმა უმრავლესობამ იცის უნივერსიტეტში არსებული გაცვლითი პროგრამების შესაძლებლობების შესახებ

მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა გაცვლით პროგრამებში და საერთაშორისო მობილობაში?




გაცვლით პროგრამებში ჩართულობის მაჩვენებელი დაბალია, აღნიშნულ პროგრამებში მონაწილეობა მხოლოდ გამოკითხულთა 9.3% აქვს მითითებული, არ არის დაინტერესებული 11.9%

გააჩნია თუ არა სასწავლო უნივერსიტეტს შეფასების გამჭვირვალე და სამართლიანი კრიტერიუმები გაცვლითი...



გამოკითხულთა უდიდესი ნაწილი 80.5% აფიქსირებს, რომ გაცვლითი პროგრამების შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, არ არის დაინტერსებული 8.5%. არ აქვს ინფორმაცია 7.6%



გამოკითხულთა დიდი უმრავლესობა აფიქსირებს, რომ სასწავლო უნივერსიტეტი ატარებს სხვადასხვა სახის ღონისძიებებს (ტრენინგები, კონკურსები, ვორქშოფები და სხვა)


აქვს თუ არა სასწავლო უნივერსიტეტს უცხო ენების შემსწავლელი უფასო ან ფასიანი სასერტიფიკატო კურსები?

არ მაქვს ინფორმა...

5.9%

არა

5.0%



დიახ
89.1%

გამოკითხულთა დიდი ნაწილი იცნობს უნივერსიტეტში არსებული უცხო ენათა
შემსწავლელი ცენტრის სერვისებს.


გყავთ თუ არა უცხოელი პერსონალი კურიკულუმსა და კურიკულუმს გარე აქტივობებში?

არ მაქვს ინფორმა...

3.4%

არა

10.9%



დიახ
85.7%

უნივერსიტეტს ყავს ორი ამერიკელი მასწავლებელი, რომლებიც აქტიურად არიან ჩართული კურიკულუმსა და კურიკულუმს გარე აქტივობებში, რასაც გამოკითხვის შედეგაც ადასტურებს.

საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის, გაძლიერებისა და განვითარების მიზნით რა სახის ცვლილებებს ისურვებდით?

სხვადასხვა სახის ცვლილებებს ვისურვებდი,, სხვადასხვა სახის პროგრამები უფრო საინტერესო და სწავლისადმი უფრო მამოტივირებელი იქნება არმაქვს კომენტარი.
 არანაირ ცვლილებას არ ვისურვებდი
 მომწონს ყველაფერი

დანართი 10: სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტის შეფასება საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის შესწავლის მიზნით				
შეკითხვა	ხელმისაწვდომობის შეფასება			
	დიახ	არა	არ მაქვს ინფორმაცია	არ ვარ დაინტერესებული
მიგიმართავთ თუ არა საერთაშორისო პროგრამების/პროექტების კოორდინატორისთვის?				
მართავს თუ არა პერიოდულად საერთაშორისო პროგრამების/პროექტების კოორდინატორი საინფორმაციო შეხვედრებს/კონსულტაციებს საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის საკითხებთან დაკავშირებით?				
აქვს თუ არა უნივერსიტეტს გაცვლითი პროგრამები უცხოეთის უნივერსიტეტებში (Erasmus+, სხვ.)?				
მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა გაცვლით პროგრამებში და				

საერთაშორისო მობილობაში?				
გააჩნია თუ არა სასწავლო უნივერსიტეტს შეფასების გამჭვირვალე და სამართლიანი კრიტერიუმები გაცვლითი პროგრამების კონკურსში მონაწილეობის მისაღებად?				
მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა საერთაშორისო სტუდენტურ კონფერენციებში უნივერსიტეტის თანამონაწილეობით/ თანადაფინანსებით/ინფორმაციით?				
ატარებს თუ სასწავლო უნივერსიტეტი სხვადასხვა სახის ღონისძიებებს (ტრენინგები, კონკურსები, workshop-ები, სემინარები, კონფერენციები უცხოელი ტრენერების/პროფესორების ჩართულობით/მონაწილეობით?				
აქვს თუ არა სასწავლო უნივერსიტეტს უცხო ენების შემსწავლელი უფასო ან ფასიანი სასერტიფიკატო კურსები?				
გყავთ თუ არა უცხოელი ლექტორები პროგრამაში?				
საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის, გაძლიერებისა და განვითარების მიზნით რა სახის ცვლილებებს ისურვებდით?				